

“ლიბერთი ბანკმა” “Bank of New York Mellon”-თან ერთად გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების პროგრამა ამოქმედდა

დღეს სს “ლიბერთი ბანკმა” “Bank of New York Mellon”-თან ერთად გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების პროგრამა ამოქმედდა. ერთი გლობალური დეპოზიტარული ხელწერილი სს „ლიბერთი ბანკის“ 500 ცალ ჩვეულებრივ აქციას წარმოადგენს. საქართველოს საფონდო ბირჟაზე სს “ლიბერთი ბანკის” აქციებით ვაჭრობა 2001 წლიდან ხდება (კოდი: BANK), (Bloomberg: BANK.GG). გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების სახით “ლიბერთი ბანკის” აქციების შეთავაზება მოხდება საერთაშორისო ინვესტორებზე (აშშ-ის გარდა).

“ლიბერთი ბანკის” შვილობილი საბროკერო კომპანია “ლიბერთი სიქიურითის” მოქმედებს “Bank of New York Mellon”-ის მინდობილობის საფუძველზე საქართველოში და ბანკის ნებისმიერ არსებულ აქციონერს შეეძლება საკუთარი აქციების გლობალურ დეპოზიტარულ ხელწერილებში გადაცვლა. დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი დაბეგვრის, შესაბამისობის კრიტერიუმებისა და ბანკის აქციების გლობალურ დეპოზიტარულ ხელწერილებად გადაცვლის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ “ლიბერთი სიქიურითის” ვებგვერდზე: www.libertysecurities.ge.

“ბანკის აქციების 91% “ლიბერთი კაპიტალმა” 2009 წლის სექტემბერში შეიძინა და მენეჯმენტის ახალმა გუნდმა ბანკის რესტრუქტურისა და დაიწყო. ბანკის შესყიდვის შემდეგ რვა თვეში ჩვენ ბანკი მნიშვნელოვნად გაზარდეთ და მომგებიანი გახადეთ. გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების პროგრამის ამოქმედება დაგვეხმარება კაპიტალის, დაფინანსების წყაროებისა და აქციონერთა სტრუქტურის დივერსიფიცირებაში”, აღნიშნა სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, **ლადო გურგენიძემ**.

“ლიბერთი ბანკის” შესახებ

“ლიბერთი ბანკი” (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეექვსე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2010 წლის 31 მაისის მდგომარეობით 4.8% შეადგინა (2009 წლის სექტემბერში ბანკის საბაზრო წილი მთლიანი აქტივების მიხედვით 3.5% იყო). “ლიბერთი ბანკის” 179 ფილიალისგან შემდგარი ქსელაზე დიდი ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 20,000-ზე მეტ ოურიდიულ პირს უწევს მომსახურებას. 2009 წლის სექტემბერში “ლიბერთი კაპიტალმა” ბანკის აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა და მისი რესტრუქტურისა და დაიწყო.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.libertybank.ge ან დაუკავშირდით:

თამარ გუნიას
ინვესტორებთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი
ტელეფონი: +995 91 20 55 11
ელ-ფოსტა: tamuna.gunia@libertybank.ge